

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№1 (56) 2016


## უნივერსიტეტი ახალ კანცლერს ირჩევს



*უნივერსიტეტში ამ დღეებში მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს – თსუ-მ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი უნდა აირჩიოს. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და, შესაბამისად, კონცეფცია ექვსმა კანდიდატმა წარადგინა. მათ შორის არიან:*

*თსუ-ს კურსდამთავრებული ნაირა ალავერდაშვილი; ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ არჩვაძე; თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი; თბილისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილი დირექტორი თამარ კაპანაძე; თსუ რექტორის მრჩეველი, თანაშემწე სამართლებრივ საკითხებში, სამართლის დოქტორი ალექსანდრე ჩხიტაური; თსუ-ს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, კახაბერ ჭეიშვილი;*

*18 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ თსუ კანცლერობის კანდიდატებს: იოსებ არჩვაძეს, გიორგი გაფრინდაშვილს, თამარ კაპანაძეს, ალექსანდრე ჩხიტაურს და კახაბერ ჭეიშვილს. კანდიდატებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მათი პროგრამები, უპასუხეს კითხვებს.*

*ჩვენ შეხვედრის მონაწილეების პროგრამებს გთავაზობთ:*

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ №7

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერების“ რიგით მეშვიდე, 2015 წლის შემაჯამებელი ნომერი გამოვიდა. ჟურნალი, უკვე ტრადიციულად, გთავაზობთ წლის განმავლობაში თსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ნაწილის შესახებ ინფორმაციას.

ამჯერად გამოცემა გრაკლიანის აღმოჩენით იხსნება. გრაკლიანის გორაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს მიგნებული უძველესი წარწერა, შესაძლოა, ახალი ერის დასაწყისი გახდეს არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისთვის.

ამას გარდა ჟურნალში იხილავთ მასალებს თსუ-ს როლსა და ადგილზე საერთაშორისო რანჟირების სისტემებში; მასალას კვლევაზე „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის“ შესახებ; ინფორმაციას ანთიმოზ ივერიელის ადგილზე ქართულ-ევროპულ დიალოგში; გაიგებთ მეტს გელათის კატენებიანი ბიბლიის შესახებ; ფსიქოლოგები მოგვიყვებიან პოსტტრავმული ზრდისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ინდიკატორების ცხოვრებისეულ ისტორიებს, ასევე აგვიხსნიან როგორ განისაზღვრება მოქალაქეობის სტილი საქართველოში.

ჟურნალში ნახავთ მასალას, თუ როგორ მოიპოვება და მუშავდება მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის; რა კვლევები მიმდინარეს უსაფრთხოების საკითხებზე თსუ-ში; როგორ წარმოუდგენიათ უნივერსიტეტის მეცნიერებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაცია. გაეცნობით ახალ პრობაციის სამართლის სახელმძღვანელოს დეტალებს; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციებს საქართველოში.

თსუ მკვლევრების დახმარებით აღმოაჩენთ, რომ ვარძიის სამონასტრო კომპლექსს გეოლოგიურ პრობლემები აქვს; არსებობს ეკოლოგიური პრობლემებიც, რომელიც შეიძლება ენერგიის ალტერნატიულ წყაროდ იქცეს; გაიგებთ აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად დამირული ნალექების ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების შესახებ; ქართველი მეცნიერების კვლევებზე ფრინველთა და ცხოველთა ბალანსირებული კვების გასაუმჯობესებლად.

ჟურნალი ასევე გაგაცნობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გოტინგენის უნივერსიტეტის მრავალწლიანი ურთიერთობების ტრადიციას და გამოცდილებას;




**გაგრძელება მე-2 გვ.**

## თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის პროექტები

თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ბოლო ხანებში განხორციელებული აქტივობებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტზე განხორციელებული ტრენინგების ციკლი. ჩატარდა ორი სახის ტრენინგი: პირველი დასაქმებისათვის საჭირო ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხს შეეხება, მეორე კი – სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადებასა და დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკას. კარიერული ცენტრის ფუნქციებში მხოლოდ დასაქმებასთან დაკავშირებული აპლიკაციის მომზადება არ შედის: ცენტრი სტუდენტებს რეკომენდაციებს აძლევს და კონსულტაციებს სთავაზობს დაფინანსების, გრანტის მისაღებად ან სტიპენდიის მოსაპოვებლად შესავსებ დოკუმენტაციასთან დაკავშირებითაც. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობის მოსაპოვებლად სხვადასხვანაირი დოკუმენტაციის მომზადება, განსხვავებული აქცენტების გაკეთებაა საჭირო, ასეთი ტრენინგები საინტერესოა როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის.

„უშუალოდ ფაკულტეტებზე ამ ტრენინგების ჩატარება სტუდენტების კიდევ უფრო

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## „ტარტუს“ უნივერსიტეტში ქართულს ისწავლიან



***თებერვლიდან ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში ქართული ენის შესწავლის მსურველებს ლექციებს 5 თვის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი წაუკითხავს. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი მანამდე, მსგავსი პროგრამით, ერთი სემესტრის განმავლობაში ქართულს ნიდერლანდებში, ლაიდენის უნივერსიტეტში ასწავლიდა.***

მარი კიურის პროგრამის პროექტის ფარგლებში, ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა, ამ კურსის მეშვეობით ქართულის შესწავლა მისი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სასწავლებლების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ – სრულიად უსასყიდლოდ. მათ კვირაში ორჯერ ენის სწავლების პრაქტიკული კურსის გარდა, თსუ პროფესორისგან საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებაც შეუძლიათ საჯარო ლექციების მოსმენა. სამუშაო ენა ინგლი-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## თსუ მეცნიერები ბაღდათის ყველაზე დიდ მღვიმეს იკვლევენ

19 იანვარს ბაღდათის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი გიორგი დვალაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), თსუ მაგისტრანტი მერი გუგეშაშვილი და თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგები: გეოგრაფიის დოქტორი ზაზა ლეჟავა და ლაბორანტი გიორგი ჩართოლანი. ექსპედიციაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ბაღდათის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ცენტრის მენეჯერი გოჩა ხორავა და ბაღდათის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავჯდომარე მამუკა გორგოძე.

ექსპედიციის მიზანი იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი მღვიმის აღმოჩენა და კვლევა, გასულ წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაფინანსებული პროექტის – „ენდოგენური წარმოშობის ბუნების ძეგლების კვლევა-პოპულარიზაცია მდინარე რიონის აუზში“ EN/15/2015 – განხორციელებისას, გამოვლინდა საინტერესო ადგილები, მათ შორის მდინარე ხანის აუზშიც რამდენიმე საინტერესო ობიექტიც დაფიქსირდა. რაც შეეხება აქამდე უცნობ მღვიმეს, მის შესახებ მწირი ინფორმაცია იქნა მოპოვებული თავდაპირველად. დეტალური კვლევისათვის დაიგეგმა სპელეოექსპედიცია ხანის აუზში.

ნათლისღების დღესასწაულზე მოხდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი მღვიმის ნათლობა, მღვიმეს ექსპედიციის წევრების



გადაწყვეტილებით ეწოდა კაკასხიდის მღვიმე. იგი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდის სამხრეთით, მღვიმის მახობლად მდინარე ხანისწყალზე დღემდე ფუნქციონირებს საფრანგეთში XIX საუკუნეში გუს-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

# თსუ მეცნიერები ბაღდათის ყველაზე დიდ მღვიმეს იკვლევენ

*პირველი გვერდიდან*




ტავო იფელის ქარხანაში ჩამოსხმული რკინის საავტომობილო ხიდი, რომელიც „ზეკრის ხეობას“ აკავშირებს ბაღდათის სოფლებთან.

კარსტული მღვიმე (კოორდინატები: N420058′25″; E420055′12″) მდინარე ხანისწყლის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 600 მეტრზე იქნა დაფიქსირებული, მდინარე ხანისწყლის დონიდან 185 მეტრია სიმაღლე, საავტომობილო გზიდან შერეულ ტყეში მიემართება საფეხმავლო ბილიკი, რომლის სიგრძე 150 მეტრია. კაკასხიდის მღვიმის ადვილად გავლადი მონაკვეთის სიგრძე არის 41 მეტრი, სიგანე 3,5 მ. მაქსიმალური სიმაღლე 5 მ., მღვიმე ძირითადად მშრალია, ჰაერის ტემპერატურა შეადგენდა +7C⁰. მღვიმეში შესაძლებელია დეტალური შეფასების საფუძველზე განვითარდეს სპელეოთერაპია. მღვიმე გამომუშავებულია კირქვებში. აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერიტორიაზე კირვული ქანები არსებობის შესახებ მასალები არ მოიძებნებოდა. მოსალოდნელია მომავალში მდინარე ხანისწყლის ხეობაში კვლავ დაფიქსირდეს საინტერესო ბუნებრივი წარმონაქმნები, რაც ამ მხარეში ტურიზმის განვითარების ხელსაყრელ გარემოს შექმნის.

# ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ №7

*პირველი გვერდიდან*

დეტალებს შავი ზღვის რეგიონული მოკლევადიანი პროგნოზის შექმნის შესახებ, რომელშიც თსუ მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა;

სამედიცინო ფაკულტეტი წარმოგიდნებთ მასალას ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში და პრევენციის თანამედროვე მიდგომები და კვლევას მანგანუმური ტოქსიკური ენცეფალოპათიის მოდელზე.

თსუ ეკონომისტები კი დაგვანახვებენ კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგიას საქართველოში; მიმოიხილავენ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციები და დივერსიფიკაციის შესაძლებლობები საქართველოში; უცხოური ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის აღქმის სპეციფიკას.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალი 2012 წლიდან გამოდის. ის დღეს ორ დამოუკიდებელ – ინგლისურ და ქართულ გამოცემებად იბეჭდება.

# თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის პროექტები

*პირველი გვერდიდან*



გასააქტიურებლად გადავწყვიტეთ, რადგან დავაკვირდით, რომ საკუთარ ფაკულტეტზე სტუდენტები უფრო ესწრებიან ტრენინგებს. ტრენინგები ფაქტობრივად ყველა ფაკულტეტზე ჩატარდა, სამედიცინო ფაკულტეტის გარდა, რომელსაც ცოტა სხვა სპეციფიკა აქვს დასაქმების მიმართულებით. გაზაფხულის სემესტრში კიდევ იგეგმება ტრენინგის ასეთი ციკლი, მათ შორის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზეც, სადაც ჯერ არ ჩატარებულა. ყველა ფაკულტეტზე გვყავს საკონტაქტო პირები, რომელთა დახმარებითაც ვაწვდით სტუდენტებს ინფორმაციას როგორც ტრენინგებთან, ასევე ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით. სამედიცინო ფაკულტეტის სპეციფიკა ვახსენე და დავაზუსტებ, რას ვგულისხმობდი: სამედიცინო პროფილის სტუდენტების დასაქმება სოციალური უნარების განვითარებასთან ალბათ ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული. მათი დასაქმება მაინც პირდაპირ უკავშირება პროფესიულ ცოდნას და მათი სამიზნეც კონკრეტულად სამედიცინო სფეროა. ეს ასეც უნდა იყოს. მაშინ, როცა დამსაქმებელთა სპექტრი, სადაც სტაჟირებას გადიან და საქმდებიან ყველა სხვა ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ძალიან ფართოა. ალბათ ამიტომაცაა, რომ სამედიცინო ფაკულტეტიდან ნაკლებადაც მოგვმართავენ სტუდენტები დახმარებისთვის.“ – აცხადებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ცხადაძე.

როგორც ხათუნა ცხადაძე აღნიშნავს, ცენტრი აქტიურად ატარებს ინდივიდიულურ კონსულტაციებსაც. პირადი შეხვედრებისას ძალიან დეტალურად განიხილება იმ კონკურისისა თუ ვაკანსიის პირობები, რომლისთვისაც სტუდენტს სურს აპლიკაციის მომზადება, ზუსტდება, რამდენად მიზნობრივად არის მომზადებული კონკურსანტის CV და სამოტივაციო წერილი, რამდენად მორგებულია აპლიკაცია საკონკურსო მოთხოვნებს.

საინტერესოა, რომ როგორც ტრენინგების, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების მიმართ ინტერესს ყველა კურსის სტუდენტი გამოხატავს. ცხადაძის შეფასებით ეს მისასალმებელია, რადგან ადრეულ ეტაპზე გარკვეული საბაზისო ცოდნისა და გამოცდილების მიღება და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება შემდგომში დასაქმების შანსებს მნიშვნელოვნად ზრდის.

„ხშირად ვხვდები ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსის სტუდენტებსაც, რომლებსაც არანაირი სამუშაო გამოცდილება არა აქვთ და იგივენაირად სჭირდებთ ტრენინგი, როგორც პირველკურსელებს. ასე რომ, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, სწავლის რა ეტაპზეა სტუდენტი. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ დახმარება სჭირდება. რაც შეეხება დასაქმების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, ვფიქრობ, ამ მხრივ IT მიმართულების სტუდენტები ლიდერობენ. ეს ბუნებრივიცაა: საინფორმაციო ტექნოლოგიები ახლა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სფეროა და ამ დარგის სპეციალისტი ნებისმიერი პროფილის კომპანიასა თუ დაწესებულებას სჭირდება. თუმცა, ვფიქრობ, ძალიან კარგი მონაცემები აქვთ იურისტებსაც. იურისტებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად გვაქვს დადებითი გამოხმაურება დამსაქმებლებისგან. ეს ეხება როგორც კერძო, ასევე საჯარო დამსაქმებლებს. როგორც იცით, ჩვენ რეგულარულად ვავრცელებთ სტუდენტებში დამსაქმებლების ინფორმაციას სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მაგრამ შეუძლებელია, დავავალდებულოთ დამსაქმებლები, ჰქონდეთ უკუკავშირი სტაჟირებაზე აყვანილი ან დასაქმებული ახალგაზრდების შესახებ. ეს თავად დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. სხვანაირად უბრალოდ არ გამოდის. ზოგი უფრო ყურადღებიანია ამ მხრივ, ზოგი – ნაკლებად. და, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე ხშირად დამსაქმებლების დადებითი გამოხმაურება სწორედ იურისტებთან დაკავშირებით გვაქვს. ასევე მიმიღია დადებითი გამოხმაურება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებთან დაკავშირებითაც.“ – ამბობს ცხადაძე.

გასული წლიდან სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი ჩართულია ევროკავშირის დაფინანსებულ რამდენიმე პროექტში, ე.წ. „ტემპუსის“ პროექტებში. ერთი მათგანი, რომლის ინსტიტუციური კოორდინატორი თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტია და რომელშიც აქტიურად ჩაერთო კარიერული განვითარების ცენტრი, ეხება პროექტის განვითარების ტრენინგის დანერგვას. ესაა პროექტის განვითარების „ლოგიკური ჩარჩოს“ მოდელი, რომელიც საინტერესოა როგორც სოციალური, ე.წ. „განვითარების“ პროექტების ეფექტიანად დასაწერად, ასევე კვლევითი პროექტებისთვის. ცენტრის უფროსის აზრით, ეს მოდული საინტერესოა როგორც მაგისტრანტებისა და დოქტორანტების, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვისაც (როგორც ფაკულტეტების, ასევე ადმინისტრაციული დეპატრამენტების წარმომადგენლებისთვის). 2016 წლიდან კარიერული ცენტრი პერიოდულად გამოაცხადებს ამ ტრენინგს და მასზე დასწრება ყველა მსურველს შეეძლება, ვისაც გარკვეული იდეა აქვს და სურს, საკუთარი იდეა წარმატებულ საპროექტო წინადადებად აქციოს.

„ყველამ ვიცით, რომ კარგ იდეას კარგი „შეფუთვაც“ სჭირდება. შეიძლება, იდეა ძალიან კარგი იყოს, მაგრამ ავტორმა ვერ შეძლოს მისი კონკურენტუნარიანი პროექტის სახით ჩამოყალიბება. არადა, დაფინანსების მოსაპოვებლად ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. გასულ შემოდგომაზე უკვე ჩავატარეთ საპილოტე ტრენინგი, მაგრამ გვსურს, ამას სისტემატური სახე მიეცეს და პროექტის განვითარების ტრენინგი რეგულარული მოდულის სახით ჩაჯდეს ჩვენი ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგების პაკეტში.“ – განმარტავს ხათუნა ცხადაძე.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, უახლოეს პერიოდში ისევ კარიერული განვითარების სფეროში ვგეგმავთ ახალი საერთაშორისო პროექტის განხორციელებას. ევროპელი პარტნიორები არიან ავსტრიელი, ბრიტანელი და დანიელი ექსპერტები, ხოლო რეგიონის დონეზე მასში ჩართულები იქნებიან ქართული, სომხური და აზერბაიჯანული უნივერსიტეტები. პროექტის წინადადება ახლა მუშავდება, ამიტომ არ მინდა, დაუზუსტებელ დეტალებზე ვილაპარაკო, თუმცა ვიტყვი, რომ პროექტის კონცეფცია უნივერსიტეტის ბიზნესთან დაახლოებას გულისხმობს. „ეს პროექტი ერთგვარი გაგრძელება იქნება ტემპუსის იმ პროექტისა, რომლის ფარგლებშიც დაფუძნდა ჩვენი ცენტრი. ახალი პროექტი, წარმატების შემთხვევაში, კიდევ უფრო გააღრმავებს დამსაქმებლებთან ურთიერთობას. მიხარია, ამ პროექტში ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფი ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები არიან: მათი დასაქმების ხელშეწყობა ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.“

გაზაფხულისთვის კარიერული განვითარების ცენტრი დასაქმების ფორუმის მოწყობას გეგმავს უნივერსიტეტში. ცენტრი დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით, მაგრამ უშუალოდ თსუ-ში ცენტრის მიერ ორგანიზებული ასეთი ღონისძიება პირველი იქნება. საორგანიზაციო საკითხებში დასახმარებლად ცენტრის ხელმძღვანელი თავად უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტიურ ჩართვასაც გეგმავს. ფორუმზე მოწვეულები იქნებიან სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლები. ხათუნა ცხადაძის შეფასებით, დასაქმების ფორუმი კარგი შანსია სტუდენტებისთვის, პირისპირ შეხვდნენ დამსაქმებლებს, გაიარონ გასაუბრება, მიიღონ ინფორმაცია არსებული ვაკანსიებისა თუ სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ და წარმოაჩინონ საკუთარი თავი მათთვის საინტერესო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე.

# „ტარტუს“ უნივერსიტეტში ქართულს ისწავლიან

*პირველი გვერდიდან*

სურია. ცნობისათვის, დეკემბრის შუა რიცხვებისთვის ***ტარტუს უნივერსიტეტის უცხო ენებისა და კულტურის კოლეჯში*** ქართული ენის შესწავლის 7 მსურველი უკვე იყო რეგისტრიებული, რაც ცუდი მონაცემი არ არის.

მსმენელთათვის ქართველ პროფესორს უკვე აპრობირებული სახელმძღვანელოების და საკუთარი მასალების გარდა სხვა მასალებიც აქვს მომზადებული. მათ შორის საქართველოს განათლების სამინისტროს ელექტრონული რესურსები ქართულის შემსწავლელთათვის.

გიული შაბაშვილის განმარტებით, „ეს არის პრაქტიკული კურსი კონკრეტულ მეთოდებზე დაფუძნებით და გათვლილია ენის ფლობის იმ დონეზე, როდესაც შემსწავლელს შეუძლია საუბარში უფრო აქტიური მონაწილეობა, თუმცა იგი კვლავ მწირად ფლობს გამოხატვის ფორმებს და სჭირდება თანამოსაუბრის დახმარება. ამ დონეზე შემსწავლელს უვითარდება მონოლოგის წარმართვისა და ყოველდღიურ ყოფით თემებზე საუბრის უნარი. კურისის მსმენელი ლექტორს აბარებს როგორც წერით, ისე ზეპირ გამოცდას. ჩემთვისაც ეს ძალიან დიდი და კარგი გამოცდილება იქნება. ყოველთვის გიხარია, როდესაც შენი ენის შესწავლის სურვილი უჩნდებათ უცხო ქვეყანაში და დიდი გამოწვევაა, როდესაც ამ ენის სასწავლებლად ჩადიხარ. ვეცდები მათ საქართველო და ქართული მაქსიმალურად კარგად და სხვადასხვა ასპექტში გავაცნო. ისე, რომ საქართველოში ჩამოსვლის სურვილიც გაუჩნდეთ“.

ქართულის კიდევ უფრო საფუძვლიანად შესწავლის შემთხვევაში, გიული შაბაშვილი თავის მსმენელების დამატებითი ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფას აპირებს. თუმცა, ენის შესასწავლად ყველაზე კარგი საშუალება მაინც საქართველოში ჩამოსვლაა. ასეთი გამოცდილება ლაიდენის უნივერსიტეტის სტუდენტებში უკვე არსებობს, რადგან მათმა გარკვეულმა ნაწილმა საქართველოში ჩამოსვლა სწორედ ქართული ენის კურსის გავლის შემდეგ გადაწყვიტა, მათ შორის – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებმაც.

ტარტუს უნივერსიტეტში, რომელიც ევროპის ერთ-ერთი უძველესი და პრესტიჟული უნივერსიტეტია, ქართული ინგლისურ, გერმანულ, სხვა რომანულ, სლავურ, სკანდინავიურ, ბალტიისპირულ ენებთან ერთად შეისწავლება.

ტარტუს გარდა, უკვე რამდენიმე წელია თსუ პროფესორები ქართულ ენას რამდენიმე პარტნიორ უნივერსიტეტში ასწავლიან. კერძოდ, ლაიდენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), ბრემენის უნივერსიტეტი (გერმანია), ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა). 2009 წელს მსგავსი პროექტი განხორციელდა სანგმიუნგის უნივერსიტეტში (სეული, სამხრეთ კორეა). სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის ქართული ენის სწავლების სურვილი გამოთქვა ჩინეთის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმაც. ჩინეთის უნივერსიტეტში ქართული ენის შესწავლის პროექტის განხორციელების საკითხი თსუ-ში ჩინური დელეგაციის ვიზიტის დროს გაზაფხულზე გადაწყდება.



# უნივერსიტეტი ახალ კანცლერს ირჩევს

*პირველი გვერდიდან*

## იოსებ არჩვაძის კონცეფციიდან:

კანცლერობის კანდიდატის იოსებ არჩვაძის კონცეფცია რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: ღონისძიებები სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით; საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა და სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერა; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები; მუშაობა მომავალ სტუდენტებთან; საზოგადოებასთან ურთიერთობა; ფინანსური უზრუნველყოფა და ფაკულტეტების გამოთანაბრება.

ჩვენ დღეს მხოლოდ რამდენიმე ამ მიმართულებას შევეხებით: „უმაღლესი სკოლის ძირითადი დანიშნულება ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური, პროფესიული კადრების მომზადებაა. შესაბამისად, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გვესახება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის საქმიანობის სტაბილურობის, პრესტიჟულობისა და მნიშვნელოვნობის განცდის ამაღლება ორი – აკადემიური და ადმინისტრაციული – „სტრატეგიული ტრიადის“ (შესაბამისად, სწავლება – კვლევა – ინოვაცია და შრომის ანაზღაურება – სასწავლო სივრცე – სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა) ხარისხობრივი გაძლიერების და გაუმჯობესების გზით“. – ნათქვამია კონცეფციაში.

განსაკუთრებულადაა დოკუმენტში გამოყოფილი შემდეგი საკითხები: „დაჩქარდება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით, ხოლო სტუდენტთა მომზადება-სწავლების პროცესი უფრო მეტად მიიღებს ისეთ ფორმატს, რომლის შედეგად უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მაქსიმალურად მომზადებული იქნებიან შესაბამისი პროფილით და სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობისათვის. გაძლიერდება კოორდინაცია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსხურს შორის აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მეტი ყურადღება დაეთმობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო ფონდების (GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობასა და ინფორმირებულობას, ხელშეწყობას ასეთი გრანტების მოსაპოვებლად. საზღვარგარეთული გრანტების მოცულობა უახლოეს პერიოდში, სულ ცოტა, უნდა გასამმაგდეს, ხოლო წილი გრანტების მთლიან მოცულობაში – გაორმაგდეს.

უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად არის დასახელებული ოპერატიულობის გაზრდა, რეაგირების დაჩქარება შემოსულ კორესპონდენციებზე, დაყენებულ საკითხებზე, შეკითხვებზე და შენიშვნებზე.

ადმინისტრაციული პერსონალისადმი მოთხოვნა დაეფუძნება მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა განაწესს, შესაბამისი სამსახურების დებულებებს, შეფასების კრიტერიუმი კი იქნება მათ მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის საფუძველზე ვალდებულებების დროული და კვალიფიციური შესრულება.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ: გაიზრდება უძრავი ქონების გამოყენების ეფექტიანობა, მათი ფუნქციური დატვირთვის უზრუნველყოფა. განხორციელდება მუშაობა უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული საჭიროებისათვის უძრავი ქონების შესაძენად და გადმოსაცემად, აგრეთვე მშენებლობისათვის დედაქალაქსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. ასევე, ჩატარდება უძრავი ქონების ობიექტების ინვენტარიზაცია.

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კანდიდატი გეგმავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად მოიწვიოს ერთ-ერთი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია “დიდი ოთხეულიდან”;

საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულება გახდება აკადემიური პერსონალის კომპიუტერული და პროგრამული პროდუქტებით აღჭურვა, სტუდენტების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და ამ უკანასკნელთა ფართოდ გამოყენება დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაფართოების გზით, წამყვანი უცხოელი სპეციალისტების ვიდეო-ლექციებისა და ვიდეოკონფერენციების ორგანიზება.

კონცეფცია ითვალისწინებს სოციალურ პროგრამებს სტუდენტებისთვის: როგორც კანდიდატი ამბობს, მომზადდება წინადადებები შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის სტუდენტთა ყველაზე წარჩინებული, არანაკლებ 10 პროცენტის სტიპენდიით უზრუნველყოფის თაობაზე. მაქსიმალურად გაიზრდება სტუდენტთა სპეციალობების მიხედვით სტაჟირება მათი პროფილის შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ჩატარდება მუშაობა, რათა უნივერსიტეტის



კვების ობიექტებში კერძები უნივერსიტეტის გარე პერიმეტრის სიახლოვეს, ახლომდებარე სწრაფი კვების ობიექტებთან შედარებით უფრო იაფი, ხარისხიანი და ყუათიანი იყოს.

შესაძლებელია რესურსების გამოძებნა იმისათვის, რომ ყველაზე მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელ სტუდენტებზე (სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომლებსაც ოთხი და მეტი შვილი ყავთ) გაცემულ იქნას კვების ტალონები (ვაუჩერები) უნივერსიტეტში მოქმედ კვების ობიექტებში გამოსაყენებლად (თვეში დაახლოებით 50-60 ლარის ფარგლებში).

უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან ერთად შემუშავდება საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარებისათვის სპეციალური ფონდის შექმნის თაობაზე, რომელსაც უხელმძღვანელებს უნივერსიტეტის არათანამშრომელ პირთაგან შემდგარი სამეურვეო საბჭო.

კონცეფციის თანახმად, თსუ-ს სტრატეგია ქართული აკადემიური მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის ფლაგმანის როლის შენარჩუნებისათვის უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: მისი ნებისმიერი ხარისხობრივი ინდიკატორი არ უნდა ჩამორჩებოდეს ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველოს სამი სხვა საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის საშუალო მაჩვენებელს (სტუდენტთა რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე; დაფინანსების სიდიდე ერთ სტუდენტზე, აკადემიური პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი და ა.შ. ).

უნივერსიტეტს შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან აქვს (სტუდენტების სწავლის საფასური; გრანტები; სპონსორები და შემოწირულობები; სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება; კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები), თუმცა ზემოხსენებული სასწავლო-სამეცნიერო ფლაგმანის როლისა და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფო დაფინანსების არსებითი გაზრდა, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რომელიც არა- ან ნაკლებად კომერციულია (საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სპეციალობები). აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნება ზემოხსენებული მიზნების მიღწევა და რისკებსა და გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, ისევე, როგორც პერსპექტივაში ფაკულტეტების რაოდენობის ზრდაზე საკითხის დაყენება (დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე საშუალოდ 2.7-ჯერ მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში).

უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შრომის პირობები, სამუშაო რეჟიმი, მათ შორის დასვენებისა და შვებულებების ხანგრძლივობა, დაცული იქნება კანონმდებლობით, შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის საქართველოს სამეცნიერო და ინტელექტუალური ფლაგმანის როლი უნდა ვლინდებოდეს არა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მასშტაბურობასა და შესაბამის ხარისხობრივ ინდიკატორებში, არამედ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში მაგალითის მიცემაშიც. ვფიქრობ, არა მარტო აუცილებელია, არამედ შესაძლებელია უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მაქსიმალური მოცვა ჯანდაცვის დაზღვევით და ამისათვის შესაბამისი ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული მოქმედებების გატარება.

სრული კონცეფცია შეგიძლია იხილოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ***https://www.tsu.ge/data/file_db/PR/ioseb%20archvadze.pdf***

## გიორგი გაფრინდაშვილის კონცეფციიდან:

კანცლერობის კანდიდატის გიორგი გაფრინდაშვილის კონცეფცია 3 ძირითად თავს მოიცავს. პირველი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში არსებულ მდგომარეობას აღწერს:

*ფინანსური რესურსები:* სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ფორმირება ძირათადად ხდება: ეკონომიკური შემოსავლებით (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება) – 72,5%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებით – 6,1%; სახელმწიფო სტიპენდიებით – 1,7%; სხვა ეკონომიკური შემოსავლებით – 2,2%; ეროვნული და საერთაშორისო გრანტებით – 17,5%; კონცეფციის მიხედვით, ბიუჯეტის სწორი დაგეგმვა და მისი შემდგომი ხარჯვითი პროცესი უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიზნების განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. არსებული მდგომარეობით სტუდენტთა თანხის ეტაპობრივი გადახდა დიდ პრობლემებს ქმნის საბიუჯეტო თანხების აკუმულირების თვალსაზრისით და უარყოფითად აისახება ბიუჯეტის ხარჯვის დინამიურობაზე. გარდა ამისა, გრანტებით მოპოვებული თანხებში გათვალისწინებული ზედნადები ხარჯების (კომუნალური მომსახურების ხარჯები) სრულად ათვისება ვერ ხორციელდება, რაც თავის მხრივ, უნივერსიტეტის საერთო საბიუჯეტო დანახარჯებზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს. მნიშვნელოვანია ასევე ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სტრუქტურული ერთეულობის ჩართულობა და პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების განაწილებაზე და შემდგომ მისი ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობასა და კონტროლზე.

*მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:* უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს 13 სასწავლო კორპუსს, 9 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა-ნაგებობას, 2 ბიბლიოთეკას, 2 სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს, დამხმარე შენობა-ნაგებობებსა და სხვა მოძრავ ქონებას. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 238,5 ათას კვ.მ-ს. აქედან ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული სასწავლო ფართი შეადგენს 77,4 ათას კვ.მ-ს, ხოლო დამხმარე – 161,1 ათას კვ.მ-ს. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებული მდგომარეობა რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

*ადმინისტრაციული რესურსები:* უნივერსიტეტის მიმდინარე ადმინისტრაციული დანახარჯები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 40%-ს (ხელფასი, შესყიდვები, კომუნალური ქონების გადასახადი და სხვა გადასახადები). არსებული დანახარჯები შესაძლებელია, დაექვემდებაროს ეტაპობრივ ოპტიმიზაციას და გამოთავისუფლებული რესურსების გადანაწილება განხორციელდეს სხვა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

მეორე თავი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების

*მართვის სამოქმედო გეგმას ეძღვნება, რომელშიც გამოყოფილია:* ადმინისტრირების პროცესში არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი აღმოფხვრა, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესების სტიმულირება და თანამედროვე სტანდარტებთან მეტი ჰარმონიზაცია განაპირობებს უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზი და პროცესების ოპტიმიზება; ბიუჯეტის შედგენის წესში ცვლილებების შეტანა, რამაც უნდა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კოლეგიური ორგანოების მაქსიმალური ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში. კერძოდ, საჭიროა საბიუჯეტო პარამეტრების არგუმენტირება და წინასწარი შეთანხმება, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მუხლობრივი დანახარჯების ზღვრული ოდენობების დადგენა და ფაკულტეტების ფინანსური ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა; უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის პოპულარიზებით დამატებითი შემოსავლების მობილიზება; უნივერსიტეტში საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობის კომერციალიზაცია და მხარდაჭერა; დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვისა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების ორგანიზება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გამოყენებით; აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის პრემირების წესის შემუშავება; უნივერსიტეტში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების თანამედროვე ელექტრონული სისტემების დანერგვა; სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის გარკვეული ნაწილის (ფიქსირებული პროცენტული ზღვარი) მიმართვა სხვადასხვა სტუდენტური აქტივობის დასაფინანსებლად (სტუდენტური თვითმართველობის მიერ გასატარებელი ღონისძიებები; წარჩინებული სტუდენტების ფინანსური სტიმულირება: სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ); შესყიდვების პროცესის რაციონალურად განხორციელებისათვის შესყიდვების შიდა მოხმარების ელექტრონული სისტემის დანერგვა; უნივერსიტეტში შიდა საპენსიო დაგროვების სისტემის ფორმირების წესის შემუშავება და ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესების მხარდაჭერა (შიდა და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება); უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე თანამედროვე სტუდენტური საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა; თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სერვისის ფართო სპექტრის შეთავაზება ადგილობრივი და უცხოელი ტრენერების მონაწილეობით; შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემუშავება კონტროლის მექანიზმის მოქნილობისა და ოპერატიულობის ხარისხის ასამაღლებლად; სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის საქმიანობის ხარისხის ამაღლება და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირება, სტუდენტთა დასაქმების ერთიანი პორტალის შექმნა; აკადემიური პერსონალის დამატებითი მხარდაჭერა საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის; უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის კორპორატიული ბინათმშენებლობის პროცესების დაგეგმვა და ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის საჭირო მონაცემების სისტემატიზაციის პროცესების სრულყოფა; ინფორმაციის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა. დეტალური კონცეფცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ***https://www.tsu.ge/data/file_db/PR/giorgi%20gafrindashvili.pdf***

## თამარ კაპანაძის კონცეფციიდან:

„დღეს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ამზადებს სტუდენტებს ისეთი სამუშაო ადგილებისთვის, რომლებიც ჯერ არც კი არსებობს, ისეთი ტექნოლოგიებისთვის, რომლებიც ჯერ არც კი არის გამოგონებული და იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ჯერ არც კი გამოკვეთილა. უმაღლესი განათლების მთავარი როლია, მოამზადოს მომავალი პროფესიონალები და მოქალაქეები ჩვენი დროის მთავარი გამოწვევებისთვის, მისცეს მათ სრული ამუნიცია ამ შესაძლებლობებით აღსავსე ეპოქაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ამავდროულად, უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განვითარება და ხელშეწყობა ქმნის იმ ფუნდამენტს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ახალი პროფესიონალების მომზადება“. – ასე იწყება თამარ კაპანაძის კონცეფცია.

მასში აღნიშნულია, რომ მომავალი კანცლერის მთავარი ამოცანა, რექტორთან ერთად, ისეთი საუნივერსიტეტო სამოქმედო გეგმის შედგენა და მისი სრულყოფილი განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური, აგრეთვე ადმინისტრაციული რესურსების მობილიზებაა, რომელიც უზრუნველყოფს 21- ე საუკუნის ჩვე-

# უნივერსიტეტი ახალ კანცლერს ირჩევს

*მესამე გვერდიდან*

ვებით ჩვენი სტუდენტების აღჭურვას, მათთვის ცოდნის პრაქტიკული აპლიკაციის განხორციელების სწავლებაა.

კანცლერი აკადემიური პროცესის მხარდასაჭერად და დასახმარებლად ფაკულტეტის დეკანებთან და მათ თანამშრომლებთან ერთად შექმნის ადმინისტრაციული საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმს, პერმანენტული კომუნიკაციისა და კოოპერირების რეჟიმის შენარჩუნებით. იგი დაამკვიდრებს ორგანიზაციული მენეჯმენტის, თანამშრომელთა ფართო მონაწილეობით ამოცანების აღსრულებისა და პრობლემის გადაჭრის კულტურას.

კანცლერმა, რექტორთან ერთად პროაქტიულად უნდა იმუშაოს, ერთი მხრივ, დამატებითი მეცნიერული კვლევისა და, მეორე მხრივ სასწავლო გრანტების მოზიდვისთვის როგორც საზოგადოებრივი, ასევე, განსაკუთრებით კერძო სექტორიდან წყაროების გამოძებნით; აქტიურად განავითაროს ურთიერთობები ბიზნეს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საელჩოებთან მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩაბმის სხვადასხვა აქტივობების ინიცირებით.

იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება სრულად უნდა გამოიყენოს თავისი სამეცნიერო, სასწავლო და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა.

გარდა ფინანსური სიკეთისა ეს ქმედებები გაზრდის უნივერსიტეტის გავლენასა და მნიშვნელობას საზოგადოებაში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ინტეგრირებას საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

მთავარ ამოცანათა რიგში ასევე მესახება კანცლერს, რექტორსა, აკადემიურ საბჭოს და სენატს შორის უფრო მჭიდრო კოორდინირება, კომუნიკაცია, სტუდენტებთან და ფაკულტეტებთან რეგულარულ საწყისებზე მოსაზრებების გაცვლა – გაზიარება.

უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიცხვშია, აგრეთვე უნივერსიტეტში ადმინისტრაციულმენეჯერული კულტურის დამკვიდრება და მმართველი აპარატის მომზადება ორგანიზაციული მენეჯმენტის ფუნდამენტური ჩვევებით. აუცილებელია ძირათადი მმართველი აპარატისა და ფაკულტეტების წამყვანი სპეციალისტების ერთობლივი მომზადება ორგანიზაციული მენეჯმენტის პრაქტიკული პროგრამით. საუნივერსიტეტო ადამიანური რესურსი უნდა იყოს მაღალმოტივირებული და სტრატეგიული ორგანიზებულობის ამუნიციით აღჭურვილი, ეფექტური და დისციპლინირებული. ასეთი პროფესიული მენეჯმენტის დამკვიდრებით უნივერსიტეტი იქცევა მაღალპროდუქტიულ ორგანიზაციად. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ეფექტიანი სინთეზი სიახლისა და განუწყვეტელი პროგრესისა უნივერსიტეტის ტრადიციებთან, ვეტერანი, გამოცდილი კადრის სრული ჩართულობითა და წარმოჩინებით. ტრადიცია და ინოვაცია უნდა იქცეს საუნივერსიტეტო საქმიანობის ქვაკუთხედად.

უნივერსიტეტი უნდა გახდეს აკადემიური ლიდერი, გამორჩეული თავისი ინოვაციური და მაღალხარისხიანი სწავლებითა და საერთაშორისო რეპუტაციით. ამ მიზნით გარდაუვალ ამოცანად გვესახება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკისა და საგამოცდო ცენტრის შექმნა.

უნივერსიტეტი უნდა ისწრაფვოდეს იყოს ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომელშიც თითოეული თანამშრომლისა და სტუდენტისათვის შექმნილია უსაფრთხო, პოზიტიური, ჰარმონიული გარემო, სადაც თითოეულ მათგანს ექნება თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. მხოლოდ ასეთ ვითარებაში განხორციელდება მთავარი ამოცანა – თანამედროვე გარემოსთვის შესატყვისი პროფესიონალის მომზადება. ამისათვის კანცლერის აპარატი მუდმივ რეჟიმში თვალყურს უნდა ადევნებდეს გლობალიზაციისა და სასწავლო ტექნოლოგიების აპლიკაციებს, რათა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებითა და პრაქტიკით იყოს უზრუნველყოფილი. ამ მიზნით აუცილებელია ურთიერთობა სასწავლო ტექნოლოგიის შემქმნელ ორგანიზაციებთან და როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პოტენციურ სპონსორებთან.

კანცლერთან უნდა შეიქმნას და მოქმედებდეს სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფი, რომელიც წინასწარ იქნება მომზადებული სხვადასხვა შესაძლო პრობლემური სიტუაციის პროფესიულად და ეთიკურად მართვისათვის, ასევე ბიუროკრატიული მექანიზმების გამარტივების მიზნით...

„თუკი შევაჯამებთ ჩვენს კონცეფციასა და სამოქმედო გეგმას, მისი ძირითადი ლაიტმოტივი უნივერსიტეტის რელევანტურობის გაზრდაა რექტორისა და კანცლერის სამსახურის შეთანხმებული, კოორდინირებული საქმიანობით, მათი კოოპერირებითა და სისტემატური კომუნიკაციით როგორც აკადემიურ საბჭოსთან, ასევე ფაკულტეტებთან და განსაკუთრებით სტუდენტთა ფართო წარმომადგენლობასთან. ასევე აუცილებელია ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტის ინტეგრაციას საზოგადოებასთან. ვაქციოთ უნივერსიტეტი ახალი ინოვატორული იდეებისა და პროგრესული მოსაზრებების ლიდერად. საზოგადოებრივი დისკურსის შეცვლაში გავზარდოთ უნივერსიტეტის როლი აქტუალური თემატიკის წარმოჩინებით ეკონომიკაზე, ბუნების დაცვაზე, გლობალურ ტერორიზმზე, ტექნოლოგიური განვითარების ტრენდებზე, საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე“. – ნათქვამია კონცეფციაში. დეტალურად დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ***https://www.tsu.ge/data/file_db/PR/tamar%20kapanadze.pdf***

## ალექსანდრე ჩხიტაურის კონცეფციიდან:

ალექსანდრე ჩხიტაური პირველ რიგში საუბრობს სხვადასხვა მმართველ ინსტიტუტებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე. „ავტონომიურობა უნივერსიტეტს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. მაგრამ დამოუკიდებლობა არ უნდა გავიგოთ, როგორც უპასუხისმგებლობა: უნივერსიტეტების ავტონომიურობის პარალელურად უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც. უნივერსიტეტები პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ საკუთრივ საუნივერსიტეტო კადრების (პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტობის) წინაშე არამედ სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშეც, სწორედ ამიტომაც მიმაჩნია სახელმწიფო სტრუქტურებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფა თსუ-სთვის სარგებლობის მომტან საკითხებთან მიმართებით“. – აღნიშნულია კონცეფციაში.

საუნივერსიტეტო გრძელვადიანი ამოცანები კანდიდატს ასე აქვს განსაზღვრული: სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესების; სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ხელშეწყობის; ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის ; საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობის სრულყოფის; საგამომცემლო და საინფორმატიზაციო განვითარებისთვის ხელისშეწყობის; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირების და ურთიერთობების გამრავალფეროვნებით; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის; პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტების სოციალური საკითხების გადაწყვეტის, მათი წახალისებისა და სტიმულირების ეფექტური ფორმების დამკვიდრებით ; სპორტისა და ხელოვნების სფეროს განვითარების.. თსუ-სთვის შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ხელის შეწყობა თსუ ერთიან სივრცეში,,, და სხვა.

კონცეფციის ავტორის აზრით, ამ ამოცანების განხორციელებისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ყველა დონეზე ოპტიმიზაცია, რადგანაც, დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტრული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების, ბიბლიოთეკის, სტრუქტურული ერთეულების და სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და კონტროლი საერთო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც ამჯამად სრულფასოვნად ვერ ხორციელდება და არსებობს გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით; ასევე აუცილებელია შიდაკონტროლის მექანიზმის სრულყოფა, და პასუხისმგებლობის კულტურის მეტად ამაღლება საუნივერსიტეტო სივრცეში.

უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა და უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტიანი სისტემის შექმნა; ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შევსება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შესაბამისი სავალდებულო და უახლესი გამოცემებით; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველყოფა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში გამოყენების უზრუნველყოფა; მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირებსა და გაერთიანებებში უნივერსიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის ჩამოყალიბების უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა; აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის მოტივირების უზრუნველმყოფი სისტემის შექმნა; თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა (როგორებიცაა მაგ: ადაპტირებული პირობებისა და გარემოს შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის და სხვ.); ცენტრალური და საფაკულტეტო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და განვითარებისთვის ხელშეწყობა; სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ. – ეს მხოლოდ ნაწილია კანდიდატის კონცეფციიდან. დეტალური კონცეფცია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: ***https://www.tsu.ge/data/file_db/PR/aleksandre%20chkhitauri.pdf***

## კახაბერ ჭეიშვილის კონცეფციიდან:

კანცლერობის კანდიდატი კახაბერ ჭეიშვილის კონცეფცია სამოქმედო გეგმის შემდეგ 8 პარამეტრს მოიცავს. მათგან ჩვენ კომპონენტების მოტივაციასა და მიზნებზე ვისაუბრებთ:

*1. კომპონენტი: ადმინისტრაციის რეორგანიზაცია.*

*მოტივაცია:* ადმინისტრაციის დეფექტური მუშაობა მეტწილად განპირობებულია სტრუქტურისა და ბიუროკრატიული პროცედურების მოუქნელობით სერვისების მიწოდებისა და მართვის სფეროში. ძირითადი დატვირთვა მოდის მომსახურების მიმღების მხრიდან დაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. არ არსებობს პროგნოზირებისა და სერვისების წინსწრებით დაგეგმვის მექანიზმები. არ ხდება წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების სამენეჯმენტო გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. ხშირ შემთხვევაში დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და უნარები ვერ აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს და ა.შ.

*მიზნები და ამოცანები:* ადმინისტრაციის მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება.

ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება, თითოეულ მათგანში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება. ინიციატივების წახალისება.

*2. კომპონენტი: უნივერსიტეტის საბიუჯეტო რესურსების ეფექტური განკარგვა*

*მოტივაცია:* უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრებულია მანკიერი ტრადიცია კონკრეტული წლის საბიუჯეტო თანხების არასრულყოფილად ათვისებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტში მკაფიოდ იკითხება მხოლოდ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ასიგნებები, ხოლო დანარჩენი პუნქტები ბუნდოვანია და ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ ჩაშლილი...

*მიზნები და ამოცანები:* ბიუჯეტის ეფექტური დაგეგმვა და საბიუჯეტო თანხების მაქსიმალურად ათვისება ისე, რომ განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი პროექტი და მინიმუმამდე დავიდეს ნაშთის ოდენობა. ბიუჯეტში პროგრამული მიმართულებების დეტალიზაცია. ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის გამკაცრება.

უნივერსიტეტისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება.

*3. კომპონენტი: ინფრასტრუქტურის გამართვა და თსუ-ს კორპუსებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა*

*მოტივაცია:* უკვე რამდენიმე ათეული წელია, პირველი კორპუსის გარდა, უნივერსიტეტის ფაქტობრივად არც ერთ კორპუსს არ ჩატარებია კაპიტალური სარემონტო სამუშაოები და არ განახლებულა ინფრასტრუქტურა, რის გამოც მორალურად მოძველებული მეურნეობა და სივრცე ვეღარ აკმაყოფილებს პირველობის ამბიციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

*მიზნები და ამოცანები:* უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში, განსაკუთრებით კი პირველი 2 წლის მანძილზე სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსების მოზიდვა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

პარალელურ რეჟიმში საკუთარი რესურსებით შედარებით მცირებიუჯეტიანი

პროექტების განხორციელება, სტუდენტური კვების ობიექტების არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება და ა.შ.

*4. კომპონენტი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება*

*მოტივაცია:* უნივერსიტეტში აუდიტორიების უმრავლესობა აღჭურვილია ამორტიზებული სასწავლო ინვენტარითა და ტექნიკით. ამასთან, საკუთრივ აუდიტორიებიც მეტწილად, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო ლაბორატორიებთან მიმართებით. განახლებას საჭიროებს უნივერსიტეტის ავტოპარკი. გასაძლიერებელია საინფორმაციო- ტექნოლოგიების მიმართულება.

*მიზნები და ამოცანები:* ამორტიზებული აუდიტორიებისა და ლაბორატორიების აღწერა და გრადაცია მათი მდგომარეობის მიხედვით. ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობის შესწავლა...

*5. კომპონენტი: სტუდენტების ხელშეწყობა*

*მოტივაცია:* უნივერსიტეტის ძირითად ნაწილსა და უმთავრეს ბირთვს სტუდენტობა წარმოადგენს... თუმცა დღეს საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ჩვენი საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. ეს ყოველივე, სამწუხაროდ, აუფერულებს სტუდენტური ცხოვრების ყოველდღიურობას და ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულ სტუდენტებს ძალიან უჭირთ სხვა საკითხებზე კონცენტრირება.

*მიზნები და ამოცანები:* სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული სტუდენტების ხელშეწყობა და სტიმულირება; სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პრობლემის მოგვარება (თანამედროვე კამპუსი). „ტაბახმელის“ სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია და სრულფასოვანი ექსპლოატაცია; გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სტუდენტურ აქტივობაში თსუ-ს სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა.

*6. კომპონენტი: კულტურა და სპორტი*

*მოტივაცია:* თანამედროვე საქართველოს, ისევე როგორც მთელი ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და გამოწვევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში თუნდაც მინიმალური სტანდარტების დაცვაა. სწორედ აღნიშნული მდგომარეობის გამოძახილია სახელმწიფოს მიერ ქვეყნის უზენაეს კანონში დეკლარირებული პოზიტიური ვალდებულებაც, რომლის შესაბამისად თითოეულ ახალგაზრდას მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ფიზიკური განვითარებისა და სპორტში ჩართულობის თვალსაზრისით. ამასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების კვალდაკვალ, არანაკლებ მნიშნელოვანია თითოეული პიროვნების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების შემოქმედებითი განვითარება და თითოეულ მათგანში არსებული პოტენციალის რეალიზება...

*მიზნები და ამოცანები:* თსუ-ში ჯანსაღი ცხოვრები წესის პროპაგანდა. უნივერსიტეტელთა შემოქმედებითი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

*7. კომპონენტი: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები*

*მოტივაცია:* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, მის შემადგენლობაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თსუ-ს იურისდიქციაში აღმოჩნდნენ, თუმცა მათი ინტეგრაციის პროცესი მძიმედ მიმდინარეობს... შესაბამისად, დღესდღეობით ახლად ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტისთვის თითქოს ზედმეტი ტვირთია და ვერ რეალიზდება მათი პოტენციალი.

*მიზნები და ამოცანები:* სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტში ინტეგრაციის დაჩქარება და ხელშეწყობა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური პოტენციალის რეალიზაციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

*8. კომპონენტი: რექტორის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა*

*მოტივაცია:* უნივერსიტეტის განვითარების, სამეცნიერო და აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნის, მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის, პროცესების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის, თსუ-ს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა, რის პრეროგატივაც უნივერსიტეტის რექტორს აქვს, მოითხოვს მისი სამოქმედო გეგმის აქტიურ მხარდაჭერას ადმინისტრაციის მხრიდან.

*მიზნები და ამოცანები:* თსუ-ს რექტორის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა.

*9. კომპონენტი: მარკეტინგული პროექტები*

*მოტივაცია:* თსუ-სა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სულ უფრო მზარდი კონკურენცია მოითხოვს მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობას. თსუ-ს იმიჯი, რომელიც ასოცირდებოდა უპირობო პირველობასთან მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ზემოაღნიშნულმა ტენდენციამ რამდენადმე გააფერმკრთალა.

*მიზნები და ამოცანები:* თსუ-ს, როგორც №1 უნივერსიტეტის იმიჯის განმტკიცება; თსუ-ს კორპორაციული ბრენდინგის ინტენსიფიკაცია.

დეტალური კონცეფცია მისამართზე: ***https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kakhaber%20cheishvili.pdf***

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge